



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 23 მაისი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. კონსტანტინე ბარჯაძე - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
3. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი „ეკოტექი“
4. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
5. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
6. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
7. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველო
8. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
9. ლიკა მარღანია - საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს“-ის საქართველოს წარმომადგენლობა
10. მარიამ შოთაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- მერვე კონფერენციის მინისტრიალი „გარემო ევროპისათვის“, 8-10 ივნისი, 2016, ბათუმი (Eighth Environment for Europe Ministerial Conference, June 8-10, 2016, Batumi) პარალელური ღონისძიებაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობისათვის“, 9 ივნისი 2016, 08:15, მონაწილეობის მისაღებად შემოსული განაცხადების და მინისტრიალის მონაწილეების წინადადებების განხილვა;
- ღონისძიების დღის წერიგის შემუშავება;
- მიმართვის ტექსტის დადგენა;
- ღონისძიების ჩატარების საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.¹

ჯგუფმა განიხილა მერვე კონფერენციის მინისტრიალის „გარემო ევროპისათვის“, საკითხები. ქალბატონმა მანანა დევიძემ, რომელიც ორგანიზებას უწევს პარალელური ღონისძიების (side event) გამართვას ღონისძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ჯგუფის წევრებს. მან ასევე აღნიშნა, 7 ივნისს ჩატარდება შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელსაც ატარებს ეკოფორუმი და დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია მონაწილეობის მიღება.

ქალბატონმა მანანამ ასევე განმარტა, რომ პარალელური ღონისძიება გაგრძელდება 2 საათი. ჯგუფი შეთანხმდა, რომ ღონისძიების მიმდინარეობისას თითოეული წარმომადგენელი მოამზადებს მოკლე პრეზენტაციას. პრეზენტაციის თანმიმდევრობა და საკითხები წინასწარ შეთანხმდება, ასევე მინისტრიალზე წარმოდგენილ მთავრობებს გადაეცემათ წინასწარ შემუშავებული მიმართვის ტექსტი.

შეხვედრაზე მონაწილეები შეთანხმდნენ ღონისძიების საორგანიზაციო საკითხებზე.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

¹ სამდივნოს შენიშვნა: შეხვედრა ჩატარდა რიგგარეშე და ესწრებოდნენ მხოლოდ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მინისტრიალში.